საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 337

2011 წ. "13" 10

ქ. თბილისი

შპს - „სპექტრი 95" ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის ავტორიზაციის შესახებ

შპს - „სპექტრი 95" ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - „სპექტრი 95" ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212694645) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.
2. შპს - „სპექტრი 95" ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელ სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 100-ით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 ოქტომბრის №26 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
რუსუდან ტყეშელაშვილი